# საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919-1921) სოციალურ-პოლიტიკური შემადგენლობა*


## თამარ ორჯონიკიძე **

## ნათია ზედგინიძე ***



### აბსტრაქტი

სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919-1921) პარტიული შემადგენლობა, რომელიც იცვლებოდა დამატებითი არჩევნებისა და პოლიტიკური გადაჯგუფებების შედეგად, ასევე დამფუძნებელი კრების წევრთა ბიოგრაფიული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე დამფუძნებელი კრების წევრთა სოციალური, ეთნიკური და დემოგრაფიული სტრუქტურა.


### შესავალი

საქართველოს დამფუძნებელი კრება (1919-1921) საქართველოს ისტორიაში პირველი საყოველთაო სახალხო არჩევნების საფუძველზე შექმნილი წარმომადგენლობითი ორგანო იყო. არჩევნები ჩატარდა პარტიული სიებით, პროპორციული საარჩევნო სისტემით, ნულოვანი ბარიერის პირობებში. ასეთი სისტემა კარგ წინაპი-

---


* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“ ფარგლებში. გრანტის კოდი: FR – 18 – 20157



** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

*** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

რობას ქმნიდა ნებისმიერი პოლიტიკური, რელიგიური და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად.[1]

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ორი წლის განმავლობაში იმუშავა. პირველი სხდომა 1919 წ. 12 მარტს გაიმართა, უკანასკნელი სხდომა კი 1921 წ. 17 მარტს ბათუმში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ემიგრაციაში წასვლის წინ. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ შეასრულა თავისი უმთავრესი ამოცანა - შეიმუშავა და 1921 წ. 21 თებერვალს მიიღო საქართველოს პირველი კონსტიტუცია.

დამფუძნებელი კრების წევრთა ბიოგრაფიული მონაცემები, მისი სოციალური შემადგენლობა თავის დროზე თავმოყრილი და გაანალიზებული იყო დამფუძნებელი კრების მიერ. შეადგინეს სპეციალური ცხრილიც, - „დამფუძნებელი კრების შემადგენლობის საერთო სურათი“, რომელშიც წარმოდგენილი იყო დამფუძნებელი კრების წევრთა ეროვნება, პროფესია, განათლება, ასევე თუ საქართველოს რომელი კუთხიდან იყო არჩეული. ეს ცხრილი წარმოდგენილია დოკუმენტების კრებულში „საქართველოს დამფუძნებელი კრება -1919“. მასში ასევე შესულია დამფუძნებელი კრების წევრთა ბიოგრაფიები. კრებულში „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“[2] მოცემულია საარჩევნო სიები, არჩევნების შედეგები და სხვა დოკუმენტური მასალა. დასახელებული პუბლიკაციები, ისევე როგორც იმდროინდელი ქარ-

[1] 1919 წლის თებერვალში ჩატარებული ძირითადი არჩევნების შემდეგ საარჩევნო მეტრი შეადგენდა 3759 ხმას. 1920 წლის გაზაფხულზე ჩატარებული მეორე დამატებითი არჩევნების შემდეგ კი საარჩევნო მეტრმა შეადგინა 4643 ხმა. „პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში“. თბილისი. 2018, გვ. 89, 95 http://cesko.ge/res/docs/Brochure-1919.pdf

[2] პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბილისი. 2018 http://cesko.ge/res/docs/Brochure-1919.pdf

თული პრესა და საარქივო მასალები საფუძვლად დაედო წინამდებარე სტატიას.

**საქართველოს დამფუძნებელი კრების შემადგენლობა**

საქართველოს დამფუძნებელი კრება შედგებოდა პროპორციული წესით არჩეული 130 წევრისაგან. დამფუძნებელი კრების არჩევნები ჩატარდა 1919 წლის 14-16 თებერვალს. საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილებში, სადაც ამ დროს ვერ მოხერხდა არჩევნების ჩატარება, 1919 წლის ზაფხულსა და 1920 წლის გაზაფხულზე გაიმართა ორი დამატებითი არჩევნები. დამატებითი არჩევნების, დეპუტატთა გარდაცვალების თუ სხვა მიზეზთა გამო დამფუძნებელი კრების შემადგენლობა იცვლებოდა. დამფუძნებელი კრების დეპუტატის სტატუსი სულ 145 პიროვნებას ჰქონდა.

დამფუძნებელი კრების უხუცესი წევრი იყო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე (1843-1928), ყველაზე ახალგაზრდა გიორგი (გოგიტა) ფაღავა (1895-1924). დამფუძნებელი კრების 6 წევრი საქართველოს გასაბჭოებამდე გარდაიცვალა.

ქალთა პოლიტიკური ჩართულობის გზაზე გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი - საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის სტატუსი მიიღო ხუთმა ქალმა (სოციალ-დემოკრატიული პარტია), მათ შორის ერთ-ერთი (ქრისტინე შარაშიძე) გახდა კრების მდივანი.[3]

„დამფუძნებელი კრების შემადგენლობის საერთო სურათში“, რომელიც 1920 წელს არის შედგენილი, აღნიშნული იყო, რომ დამფუძნებელი კრების წევრთაგან 83 იყო ცოლშვილიანი, 39 უცოლშვილო, 4 ქვრივი და 2 ქმრიანი.

[3] საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატები. თბილისი, 2016. http://firstrepublic.ge/ka/theme/19?gender=f

ჩატარებული არჩევნების შედეგად, კრება სრულყოფილად ასახავდა ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური, ეთნიკური თუ რელიგიური შემადგენლობის სურათს.

დამფუძნებელ კრებაში შედიოდა საქართველოს ყველა რეგიონის წარმომადგენელი: იმერეთიდან იყო 37 დეპუტატი, 33 გურიიდან, 17 სამეგრელოდან, 17 ქართლიდან, 12 კახეთიდან, 11 თბილისიდან, 5 აფხაზეთიდან, 4 რაჭიდან, 3 აჭარიდან, 2 ლეჩხუმიდან, 2 მესხეთიდან, 1 ბორჩალოდან და 1 საინგილოდან.

დამფუძნებელი კრების წევრთა უმეტესობას მოსამსახურეები შეადგენდნენ. სრული სურათი კი შემდეგნაირია:

- მოსამსახურე - 108
- მუშა - 25
- მეურნე - 8
- სამხედრო (ოფიცერი) - 3
- გაურკვეველი - 1

დამფუძნებელი კრების წევრები, როგორც აღინიშნა, „ყოფილი წოდების“ მიხედვითაც აღრიცხეს და ამ მხრივ შემდეგნაირად ნაწილდებოდნენ:

- გლეხი - 65
- აზნაური - 27
- მოქალაქე - 27
- სასულიერო წოდება - 16
- თავადი - 11
- გაურკვეველი - 1

დამფუძნებელი კრების წევრთა დიდ ნაწილს უმაღლესი ან არასრული უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული, ძირითადად რუსეთში; გარკვეულ ნაწილს კი ევროპაში.

- უმაღლესი - 75 (რუსეთი-51; ევროპა - 23 ოსმალეთი - 1
- არასრული უმაღლესი - 14 (რუსეთი - 11; ევროპა - 3)
- საშუალო - 21
- არასრული საშუალო - 4
- დაწყებითი - 15

- არასრული დაწყებითი - 1
- საშინაო - 7
- ტექნიკური - 5

პროფესიას რას შეეხება,

დამფუძნებელი კრებაში ყველაზე მეტ წევრს იურიდიული განათლება ჰქონდა (33). იყვნენ პედაგოგები (24), ჟურნალისტები (17), კოოპერატორები (10), ექიმები (6), ეკონომისტები (5), ასევე 3 აგრონომი, 2 ისტორიკოსი, ასევე თითო ბუღალტერი, ვეტერინარი, ინჟინერი, კანცელარიის მოხელე, მწერალი, პედაგოგი-მოლა, ფილოლოგი და ქიმიკოსი.

აღრიცხული იყო დამფუძნებელი კრების წევრი 25 მუშის პროფესიაც: 4 ტრამვაის მუშა, 3 ასოთამწყობი, 3 ზეინკალი, 2 ელექტრო-ტექნიკოსი, 2 რკინიგზელი მემანქანე, 2 ხარატი, 1 დურგალი, 1 მაღაროელი, 1 ფეიქარი, 1 ხარაზი, დარჩენილი 5 მუშის პროფესია კი არ იყო დაკონკრეტებული.

**საქართველოს დამფუძნებელი კრების პარტიული სტრუქტურა**

საქართველოს 1919 წლის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობდა 15 პოლიტიკური სუბიექტი. დამატებითი არჩევნებისა და ფრაქციული გადაჯგუფებების შედეგად დამფუძნებელი კრების პარტიული სტრუქტურა გარკვეულწილად იცვლებოდა. სულ დამფუძნებელი კრების წევრის სტატუსის მქონე 145 პიროვნება პარტიული თვალსაზრისით შემდეგნაირად ნაწილდებოდა:

- 103 იყო სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი;
- 10 დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია „სხივის“ წევრი (გამოეყვნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას);
- 10 სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის წევრი;
- 9 ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი;

- 6 სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წევრი;
- 4 სომხეთის რევოლუციური ფედერაცია „დაშნაკცუთუნის“ წევრეი;
- 2 მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტიის წევრი;
- 1 დამოუკიდებელი დეპუტატი.

**ეროვნული უმცირესობები**

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა წამყვანი პოლიტიკური ძალა (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები) თანხმდებოდა იმაზე, რომ ეროვნულ უმცირესობებს ფართო უფლებები უნდა მინიჭებოდათ და დიდ ყურადღებას უთმობდნენ ეროვნულ უმცირესობათა ჩართვას საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრის სტატუსს ეროვნული უმცირესობის 23 წარმომადგენელი ატარებდა[4].

დამფუძნებელი კრების ეროვნული შემადგენლობა შემდეგი იყო:

- ქართველი - 122
- სომეხი - 8
- რუსი - 4 (აქედან 1 რუსი-მალაკანი)
- აფხაზი - 3
- გერმანელი - 2
- ოსი - 2
- ებრაელი - 2
- თურქულენოვანი მუსლიმი (აზერბაიჯანელი) - 1
- ბერძენი - 1

[4] მ. მაცაბერიძე; თ. ორჯონიკიძე - *ეროვნული უმცირესობების წარომადგენლები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921).* ქართული პარლამენტარიზმი ტ.1. N 1. თბილისი. 2019.

**რეპრესიები**

საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები რეპრესიების ორი ტალღის ქვეშ მოექცნენ. რადგანაც უმრავლესობა მემარცხენე რევოლუციური პარტიების წარმომადგენლები იყვნენ, ბევრი მათგანი არაერთხელ იყო რეპრესირებული მეფის მთავრობის მიერ. ეს ინფორმაცია თავის დროზე შეაგროვეს დამფუძნებელი კრების „სოციალური სურათის“ შედგენის დროს.

1860-იანი წლებიდან 1917 წლამდე რეპრესიები შეეხოთ:

- ერთხელ - 44
- ორჯერ - 25
- სამჯერ -20
- ოთხჯერ - 14
- ხუთჯერ - 6
- ექვსჯერ - 4
- შვიდჯერ - 1
- არცერთხელ -17
- უცნობია - 14

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შემდეგ დამფუძ-ნებელი კრების დეპუტატები უკვე საბჭოთა რეჟიმის რეპრესიების ქვეშ მოექცნენ. 1921 წლიდან 1950-იან წლებამდე რეპრესირებული იყო:

- ერთხელ - 33
- ორჯერ - 27
- სამჯერ - 12
- ოთხჯერ - 7
- ხუთჯერ - 9
- ექვსჯერ - 1
- შვიდჯერ - 3
- რვაჯერ - 1
- არცერთხელ - 8

- უცნობია - 7.

საბჭოთა ოკუპაციის დროისათვის დანფუძნებელი კრების მოქმედი და ყოფილი დეპუტატების რიცხვი შემცირდა და შეადგინა 139-ს. მათგან 31-მა საქართველო 1924 წლამდე დატოვა. ემიგრაციაში წასულებიდან 2 მოკლეს, 2-მა თავი მოიკლა.

დარჩენილი 108 დეპუტატიდან 93 იყო რეპრესირებული ბოლშევიკური რეჟიმის მიერ (დახვრიტეს 51; ციხესა და გადასახლებაში გარდაიცვალა 5; დააპატიმრეს ან გადაასახლეს 37). რეპრესიებს გადაურჩა რვა დეპუტატი, შვიდი წევრის ბედი უცნობია.

## დასკვნა

საქართველოს დამფუძნებელ კრება (1919-1921) ასახავდა იმდროინდელი საქართველოს რეალობას და მასში წარმოდგენილი იყო საქართველოს ყველა კუთხე, თითქმის ყველა სოციალური ფენის და პროფესიის პირი. დამფუძნებელი კრების გენდერულ და სოციალურ მრავალფეროვნებას მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომლიდ წევრებიც დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ დამფუძნებელ კრებაში.

## გამოყენებული ლიტერატურა:


1. მაცაბერიძე მ., ორჯონიკიძე თ. - *ეროვნული უმცირესობების წარომადგენლები საქართველოს დამფუძნებელ კრებაში (1919-1921).* ქართული პარლამენტარიზმი ტ.1. N 1. თბილისი. 2019.
2. პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში. თბილისი. 2018 http://cesko.ge/res/docs/Brochure-1919.pdf
3. საქართველოს დამფუძნებელი კრება - 1919, საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია. თბილისი. 2016 http://firstrepublic.ge/ka/theme/54

Tamar Orjonikidze
Natia Zedginidze

# Socio-Political Composition of the Constituent Assembly of Georgia (1919-1921)

## Abstract

The article presents the party composition of the Constituent Assembly of Georgia (1919-1921), which is changed as a result of additional elections and political reshuffles, as well as the social, ethnic and demographic structure of the founding members based on the analysis of biographical data of the founding members.